

მუნიციპალურ ტრანსპორტზე ერთიანი საბიღეთო სისტემის შემოღება იგეგმება



თბილისის მერია ერთიანი საბიღეთო სისტემის შემოღებას გეგმავს, რომლის ფარგლებშიც მგზავრობა შესაძლებელი იქნება როგორც ავტობუსით, ასევე მეტროთი და მიკროავტობუსით.

დედაქალაქის მერის თქმით, სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია, რომ მიკროავტობუსები ცენტრალური უბნებიდან გარეუბნებში გადაინაცვლებს.

„სიმართლესთან ახლო არ არის, რომ მიკროავტობუსები გადაინაცვლებენ გარეუბნებში. მიკროავტობუსები მოვა თანხვედრაში ავტობუსებთან და მეტროსთან. ეს ყველაფერი უახლოეს მომავალში იქნება წარმოდგენილი. ჩვენ არასდროს გავვიყვია ქალაქი ცენტრალურ და გარეუბნებად, ეს მიდგომა კატეგორიულად მიუღებელია. თვითონ რეფორმა არის მნიშვნელოვანი. იქნება ერთიანი სისტემა, ანუ ერთი აღებული ბიღეთით შესაძლებელი იქნება იმგზავრო, როგორც ავტობუსით, მიკროავტობუსით, ასევე მეტროთი. ეს ინტეგრაცია არის ძალიან მნიშვნელოვანი. ამასთან დაკავშირებით პრეზენტაცია უახლოეს მომავალში გაიმართება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მერის თქმით, თბილისში მოძრავი მიკროავტობუსების მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძღვებს და ახლით მათ შეცვლაზე მოდაპარაკებები მიმდინარეობს.

„მიკროავტობუსები 2011 წელს იქნა შემოყვანილი და დღეს მათი

მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს. ყვედანაირი რესურსი ამოწურული აქვს, შესაბამისად, ჩვენ ვანარმოებთ მოღაპარაკებებს კერძო კომპანიასთან, რომ მოხდეს მიკროავტობუსების ჩანაცვლება. ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. ქადაქს ეყობება ახალი მიკროავტობუსები, რომელიც თბილისის მოსახლეობას მოემსახურება“, – განაცხადა კარაძემ დედაქადაქის მთავრობის სხდომაზე.